საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-08/292

ქ. ბათუმი

15 ივნისი, 2020 წ.

ბსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების (პროფესიული მზადების) სარეზიდენტო პროგრამის მსმენელთათვის სწავლების განახლების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვისა და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილის №135 /ნ ბრძანების და ,,საექიმო სპეციალობათა, სუბსპეციალობების შესაბამისი სპეციალობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 18 აპრილის №136/ნ ბრძანების, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის მოადგილის წერილების (№02/25719, 16.05.2019წ.), ,,ბსუ-ს სარეზიდენტო/პროფესიული მზადების პროგრამების განსახორციელებლად მოსაწვევ პერსონალთან დასადები შრომითი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის ბრძანების (N01-02/19, 22.02.2019წ), ,,ბსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამის მსმენელთან დასადები ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის ბრძანების (N01-02/36, 20.03.2020წ.), ბსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამებზე სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების (N01-10/36, 10.03.2020წ.), ,,ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომ განათლების (პროფესიული მზადების)პროგრამებზე "თერაპიული სტომატოლოგია", ,,ორთოპედიული სტომატოლოგია", სპეციალიზაციის კურსის პროგრამაზე ,,ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგია" და გადამზადების პროგრამაზე "ორთოპედიული სტომატოლოგია" მიღების გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 24 იანვარის №01-02/10 ბრძანების, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული N01 - 123/ო ბრძანების დანართი N15 თანახმად, შეზღუდული ჰქონდათ გეგმიური სამედიცინო საქმიანობის განხორციელების უფლება და საქართველოს მთავრობის N322 დადგენილების (2020 წლის 23 მაისი,

იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ), მინისტრის N193/ო ბრძანებით შემუშავებული წესის საფუძველზე ჩატარებული მონიტორინგის შედეგების, ,,საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით გეგმიური სტომატოლოგიური მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებებისთვის რეკომენდაციების, ფუნქციონირების წესისა და შეტყობინების ფორმის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების მოთხოვნებთან შესაბამისობის 2020 წლის 11 ივნისის №0330 შემოწმების აქტის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელის, მ. ბაქრაძის 2020 წლის 12 ივნისის მოხსენებითი ბარათისა (№463113) საფუძველზე

ვბრძანებ:

1. **2020 წლის 15 ივნისიდან განახლდეს სწავლება** ბსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი სამედიცინო რომლებზეც შეგანათლების (პროფესიული მზადების) სარეზიდენტო პროგრამებზე იმ მსმენელთათვის, ჩერდა სასწავლო (პროფესიული მზადების) პროცესი:

ა) ,,ბსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების (პროფესიული მზადების) სარეზიდენტო პროგრამაზე ,,თერაპიული სტომატოლოგია" სპეციალობის მაძიებლების ჩარიცხვის შესახებ" ბსუ-ს რექტორის **2020 წლის 1 აპრილის N01-08/183 ბრძანებით ჩარიცხული მსმენელთათვის** (რომელთათვის სწავლება შეჩერებულად ჩაითვალა ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 24 აპრილის N01-08/199 ბრძანებით);

ბ) **2020 წლის 23 მარტამდე ჩარიცხულ მსმენელთათვის** (რომელთათვის სწავლება 2020 წლის 23 მარტიდან შეჩერებულად ჩაითვალა ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 24 აპრილის N01-08/198 ბრძანებით).

2. ბსუ-ს სარეზიდენტო პროგრამების მსმენელთა/სპეციალობის მაძიებელთა და შესაბამისი მოდულების ხელმძღვანელთა წინამდებარე ბრძანების შესახებ ინფორმირება განახორციელოს შესაბამისი პროგრამის ხელძღვანელმა (შესაბამისი ინფორმაცია და ბრძანება დაეგზავნოს ელექტრონული ფოსტის შესაბამის მისამართებზე).
3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე) და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, ბსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამების ხელმძღვანელებს, კლინიკას ,,ბსუ დენტი", საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს).
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი ზუბალაშვილის ქ.№30).
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორის მოადგილე, პროფესორი **თ. სირაძე**